



მეთუ არა უწყოდა, თუ ვინაჲ წარვიდეს იგი ანუ ვისა მივიდეს. წრამედ მადლი იგი იმრთისაჲ, რომელი დამკვდრებულ იყო მის თანა, სცვიდა მას და წარუძღუა მას ეკლესიად ჴრისტეანეთაჲსა და მივიდა წმიდისა ამბა **საკობის** ეპისკოპოსისა **ნასიბინ** ქალაქისა. თა იყო იგი სრული კაცი, მოშიში იმრთისაჲ და შემკული ყოვლითა სათნოებითა. თა მადლი იმრთისაჲ იქმოდა ძალთა და სასწაულთა დიდ-დიდთა მის მიერ, და წინაჲსწარ სცნობდა დაფარულთა საიდუმლოთა სულისა ჩმიდისა მიერ, რომელი-იგი დამკვდრებულ იყო მის შოვრის. თა ვითარცა შევიდა წინაჲშე მისსა ნეტარი ესე **სფრემ** და აუწყნა მას ყოველნი საქმენი მისნი, განიხარა მისთვის ფრიად და შეინყნარა იგი ყოვლითა სიყუარულითა და დაადგინა იგი სადგურსა მას წიგნის მსმენელთა თანა.

3. **ჟოლო** ჭაბუკი ესე დლითი-დღედ ჰმატებდა წადიერებითა და მოსწრაფებით სწავლასა სარგებელისათჳს სულისა თჳსისა და მოსწრაფე იყო მარხვასა და ლოცვასა; და წადიერად და გულსმოდგინედ მიისწრაფინ ეკლესიად, რათამცა ისმინა ჩიგნთაგან ჩმიდათა. თა შევიდა წმიდისა ამის ამბა **საკობ** ეპისკოპოსისა თანა საეპისკოპოსოს და ისწრაფდა მუნამდის, ვიდრემდის იქმნა ამბაძველ წმიდისა მის იმრთისა ეპისკოპოსისა განგებასა მისსა. თა რაჟამს ხედვიდა წმიდა იგი გამოწულილვასა და გამოძიებასა განგებისა მისისასა, აღივსებოდა მისთვის სიხარულითა და მხიარულებითა და მარადის განამტკიცებდა საქმეთა თჳსთა სიტყუათაგან ცხორებისათა ჩიგნთაგან ჩმიდათა. თა არა თუ ხოლო წმიდასა მას თანა ოდენ საყუარელ იყო იგი, გარნა ყოველთა თანა შვილთა **სკლესიისათა**. თა შემდგომად მცირედისა ჟამისა სრულ იქმნა ყოვლით კერძოვე ნათლითა და იმრთისმოშიშებითა.

შაშინ სირცხვლეულ იქმნა ეშმაკი, რომელმან-იგი გამოაძო სახლისაგან მამისა თჳსისა, და ვერღარა შემძლებელ იყო ხედვად მისა. **ჟოლო** ეშმაკმან წინა-აღმდგომებისა მისისათჳს და დაწუვისაგან მის მიერ ინება, რათამცა შთააგდო იგი ცუდად-დიდებულებასა, რათამცა დააბრკოლნა შვილნი **სკლესიისანი** და ყოველნი მორწმუნენი. თა აღაშფოთა კუალად ამბა **საკობცა** ეპისკოპოსი და რომელ-იგი მტერობითა ლონწი იძია მის ზედა ეშმაკმან მან წმიდასა **სფრემს** ზედა, რათამცა ავნო მას დიდისა მის პატივისა მისისათჳს, რომელი-იგი აქუნდა მას

ყოვლისა ერისაგან. შადლითა მით სულიერითა გამოეცხადა განგებაჲ წმიდისა მის იმრთისა კაცისაჲ და უფროსლა ემატა მით სიყუარული მისი წინაჲშე პატიოსნისა მის ეპისკოპოსისა.

5 4. თა ამაღლდა და დიდებულ იქმნა მის თანა პატივი და საქმწ მისი უფროს პირველისა მის, რამეთუ იყო მუნ კაცი **სკლესიისა** **ნასიბინისა** მნათწ, და სახელი მისი **სფრემვე**. თა ვითარცა იხილა, რამეთუ ეპისკოპოსმან და ყოველთა შვილთა **სკლესიისათა** შეიყუარეს წმიდაჲ ესე, რამეთუ აღივსი იგი შურითა წინა-აღმდგომებად მისა. თა რომელთამე დღეთა შინა დაეცა მნათწ იგი ერთისა ვისმე წარჩინებულისა მოქალაქისა ასულისა თანა ქალწულისა, და მიუდგა მის კანდელაკისაგან. შაშინ ჰრქუა მან ქალსა მას: «ოდეს შეგაცნას მამამან შენმან, არქუ მას, ვითარმედ **სფრემ** ესე, რომლისათჳს იტყვან, ვითარმედ წმიდაჲ არს იგი, შემოვიდა ჩემდა დღესა ერთსა და მან შემამთხვა ესე».

20 თა ვითარცა ეუწყა მამასა მის ქალისასა საქმწ ასულისა თჳსისაჲ, ჰრქუა მას: «ვინ არს, რომელმან იკადრა და გიყო შენ ესე საქმწ?» მაშინ მიუგო და ჰრქუა მას: «**სფრემ** მიყო ესე, რომლისათჳს იტყვან კაცი, ვითარმედ წმიდა არს იგი». თა მეყსეულად წარვიდა იგი ეპისკოპოსისა და პირსა თჳსსა იცემდა და ჰრქუა მას, რომელ-იგი უთხრა მას ასულმან მისმან.

თა ვითარცა ესმა ეპისკოპოსსა საქმწ იგი ქალისა მის მამისაგან, მწუხარე იქმნა დიდად ფიცხლად. **ჟოლო** ეპისკოპოსსა ყოველნივე საიდუმლონი საღმრთონი გამოეცხადებოდეს მადლითა მით, რომელ-იგი იყო მის თანა, გარნა საქმწ იგი ქალისაჲ მის დაეფარა მისგან. შაშინ ცნეს ყოველთა კაცთა, დაბრკოლდეს მისა მიმართ ყოველნივე. შაშინ მოუწოდა ეპისკოპოსმან ნეტარსა მას და იწყო მხილებად მისა ამის საქმისათჳს. **ჟოლო** იგი შეურვებულ იქმნა. თა იწყო ნეტარმან მან გულისზრახვად გულსა შინა თჳსსა მისთვის და არაჲ მიუგო მას სიტყუად.

40 თა შემდგომად მისა ჰრქუა: «ჰე, მამაო, ვცოდე. წრამედ ვევედრები სინმიდესა შენსა, რათა მომიტეო და შემინდო ცოდვად ესე». **ჟოლო** ეპისკოპოსსა, ამბა **საკობს**, არავე ჰრწმენა ამის საქმისათჳს. **წრა** თუ იცოდა, გარნა ყოველნი საიდუმლონი და განზრახვად მისი უწყოდა მან.

თა კუალად ამბა **საკობცა**, ეპისკოპოსი ნეტარი, ვევედრებოდა იმერთსა, რათა გამოაცხადოს საქმწ ესე, და დაუფარა მას იგი იმერთმან, რამეთუ იმერთი, ჟომლისაჲ დიდებულ



მის განყრისა და ყოველნი კაცნი მიიქცეს ქუეყანადვე თჳსა. შაშინ მოიქცა ამბა **საკობცა** ეპისკოპოსი ქუეყანადვე თჳსა სინარულითა დიდითა მსგავსად ერისთავისა, რომელმან-იგი სძლის მტერთა, და წმიდაა **იფრემცა** მის თანა. **ქოლო** ნეტარი ესე **იფრემ** დღითი-დღედ ჰმატებდა და ისწრაფინ წარმატებასა იმრთისმოშიშებითა და სათნო-ყოფითა შისითა და მარადის იკითხავნ **ქიგნთა** **ქმიდათა** და ერჩდა იგი წმიდასა ეპისკოპოსსა ყოველსავე ზედა, რაჲცა რაჲ ებრძანის მას საქმედ.

6. **ნა** შემდგომად მცირედისა ჟამისა შეისუენა **იოსტანტინე**, მეფემან დიდებულმან, და დაიპყრეს მეფობაჲ ძეთა მისთა. **ნა** შემდგომად მისა, მათ ჟამთა, გამოვიდა **საბურ**, მეფე **სპარსთაჲ**, რამეთუ უდებ-ყვეს ძეთა **იოსტანტინე** მეფისათა დიდებულისა, და მოინია ქალაქად **ჩასიბინისა** აურაცხელითა ერთთა მრავლითა და მარზაპნებითა და ძალითა მრავლითა, და ნათესავები, რომელთაჲ არა იყო რიცხვ. **ნა** ორად განყო ლაშქარი მისი და განაწყო და მოუწდა ქალაქსა ბრძოლად შინა-მკვდრთა ქალაქისათა. **ნა** გარე-მოიცვა ქალაქი სამეოცსა დღესა და გარდააგდო მდინარე იგი, რომელი შემოვიდოდა ქალაქსა შინა, განკუეთა ზღუდისა ძირსა და შეაგდო ქუეშე სასუფეველსა ზღუდისასა და დაარღვა ზღუდს იგი სიმრავლემან წყლისამან. **ნა** ჰგონებდა **საბორ**, ვითარმედ უშრომელად შევიდეს ქალაქსა. **ნა** შაშინ ამბა **საკობ**, პატრიოსანმან ეპისკოპოსმან კურთხეულმან, და ნეტარმან **იფრემ** და ყოველთა შვილთა **იკლესიისათა** იწყეს ლოცვად და ვედრებად იმრთისა მრავლითა ცრემლითა და სულთქუმითა ყოველთა დღეთა ბრძოლისათა.

**ნა** შაშინ წმიდაჲ ამბა **საკობ**, ეპისკოპოსი კურთხეული, დაადგრა შოვრის მკედართა და მოქალაქეთა და ნუგეშინისცა მათ ყოველთა და აღაშენა ზღუდს იგი. **ნა** აჰმართნეს ფილაკანები და უშტეკავნები ზღუდესა ზედა და ესროდეს მათ და გააშორებდეს ლაშქარსა ქალაქისაგან. **ისრტთ** ყო წმიდამან ეპისკოპოსმან და ნეტარმან **იფრემ**, და ვერ შეუძლეს მოახლებად ზღუდისა. **ნა** ეკლესიასა შინა ევედრებოდეს იმერთსა ამის ჭირისათჳს. **ნა** შაშინ მეფემან **საბურ** – არა თუ ზღუდისა მისთჳს, რომელი აღაშენეს, განკრვებულ იქმნა, – არამედ სხუად სახილავი იხილა და მისგან შემინდა შიშითა დიდითა და ზარგანვიდლ იქმნა ამისთჳს, რამეთუ იხილა მან კაცი, შემკობილი

სამეუფოთა სამოსლითა, მდგომარე ზღუდესა ზედა და ზენრითა ბრწყინვალითა და დიდებულობითა. **ნა** გულისხმა-ყო და განიზრახა თავსა თჳსსა, ვითარმედ **ბერძენთა** მეფე არს იგი, და არავის უთხრა მოყუასთა მისთა, რომელი-იგი ეტყოდეს მას, ვითარმედ: «არა არს აქა მეფე». **ნა** რამეთუ რომელნიმე მარზაპანთაგანნი მოვიდოდეს ჰეფობთა მთავრისა მისისა თანა და ეტყოდეს, ვითარმედ: «არა არს აქა მეფე, არამედ არს იგი **სნტიოქიას** ქალაქსა». **ნა** იცოდა მეფემან **საბურ სპარსთამან** ნიშანები(!) მისი და ესნავა, რომელი-იგი ჰბრძოდა ამათ წილ. **ნა** შაშინ ზარგანვიდლ იქმნა საწყალობელი იგი და უბრძანა ბანაკსა თჳსსა, რაჲთა ესროდიან მას ისრითა. **ნა** არა იცოდა მან უსუსურმან გონებითა, ვითარმედ რომელი-იგი უწოროცო არს, ვერ ავნებს მას ისარი მისი. **ნა** სირცხველელ იქმნა, რაჟამს იხილა დიდებაჲ იგი.

**ნა** შაშინ საკვრველმან **იფრემ** განთქმულმან ითხოვა ნეტარისა ამბა **საკობ** ეპისკოპოსისაგან, რაჲთა უბრძანოს და განვიდეს ზღუდესა ზედა, რაჲთა იხილნეს ბარბაროსნი იგი და ესროდის მათ ისრითა. **ნა** ვითარცა ესმა ამბა **საკობს** სიტყუად ნეტარისა **იფრემისი**, უბრძანა, რაჲთა აღვიდეს, რამეთუ იცოდა მაღლი იგი, რომელი იყო მოცემულ მისა მის სასწაულისაგან, რომელიცა ყო მან. **ქოლო** რაჟამს განვიდა ნეტარი რომელსამე ზღუდეთაგანსა და იხილნა ბევრის-ბევრეულნი კაცნი, აღიხილნა თუალნი თჳსნი იმრთისა მიმართ და ითხოვა მისგან, რაჲთა მიავლინოს მათ ზედა რისხვაჲ, მკალი და ბუზი, რაჲთა ამათ მკეცთა უნდოთა მიერ კმა-უყოს მათისა ბრძოლისათჳს, და გულისხმა-ყოს **საბურ სპარსთა** მეფემან, საწყალობელმან უბადრკუმან, ძალი იმრთისაჲ.

**ნა** შაშინ ლოცვითა წმიდისა **იფრემისითა** მოინია მათ ზედა ღრუბელი და მკალი და ბუზი და დაესხა პილოთა ზედა, რამეთუ თმაჲ არა ასხს მათ. **ნა** ფაქლი შევიდის ყურთა და ცხვრთა შეუჭდის. **ნა** დაესხა ბუზი იგი ცხენთა და პილოთა და სხუათაცა პირუტყუთა: ჯორთა და აქლემთა და ყოველთა საცხოვართა. **ნა** ვერ დაუდგეს წინაშე რისხვასა მას, რომელი-იგი მოავლინა იმერთმან მათ ზედა ლოცვითა ამის წმიდისა და ნეტარისა **იფრემისითა**. **ნა** აღჭრნეს ბუზთა მათ ჯოროცნი ცხენთანი. **ნა** სიმძაფრისაგან ტკივილისა, რომელცა-იგი იგუემებოდეს სავედრები, გარდამოჰყრიდეს მკედართა, და ვერ დაიდგმიდეს მკედარნი ზურგთა ზედა ცხ-

ენტასა. **ბა** ალაშფოთა ბანაკი იგი მათი, და დაყარეს კარვები მათი და წარივლტოდეს მიერ. **ბა** ვითარცა გულისხმა-ყო მეფემან სანყალო-ბელმან ძალი იგი იმრთისაჲ, ჟომელ ჰმწყისის მორწმუნეთა ნების-მყოფელთა მისთა კეთილად მოღუანეთა, მაშინ მეოტ იქმნა მეფე მუნით სირცხვლეული, არარაჲ შეიძინა ყოვლისა მის განმზადებულებისა მისგან ძლევაჲ. **ზოცვისა** მისგან წმიდისა და ნეტარისა **წფრემისა** იქსნა იმერთმან ქალაქი იგი.

7. **ბა** შემდგომად ჟამთა მცირედთა სრულ იქმნა ცხორება ნეტარისა და კურთხეულისა ეპისკოპოსისაჲ ამბა **საკობისი**, და მივიდა ოფლისა თვისისა სრული ყოვლითა სათნობითა. **ბა**შინ ნეტარი **წფრემ** მწუხარე იქმნა სიკუდილისა მისისათჳს ფრიად და ჴუებულ იქმნა მისთჳს და აილო გუამი წმიდისაჲ მის და შემურა პატივითა დიდითა და დაჰმარხა. **ბა** დაადგრა წმიდაჲ იგი ქალაქსაჲ **წისიბინისასა სპარსთა** შეპყრობადმდე. შემდგომად მცირედისა ჟამისა მეფემან **წოსტანტინე** მცირემან წარმოავლინა **წელიანე** უღმრთოდ ქუეყანად დაცვისათჳს. **ბა** მისა შემდგომად შეისუენა **წოსტანტინე** მეფემან, და დაიპყრა მეფობაჲ **წელიანე** წყეულმან. **ბა** იქმნეს ბრძოლანი და შფოთებანი ყოველთა ქალაქთა შინა. **ბა** განახუნა საკერპონი ტაძრები იგი და წარვიდა **სპარსეთისა** ქუეყანად. **ბა** დიდი შფოთი მოიწია ჴრისტეანეთა ზედა ჟამთა მისთა. **ბა** იქმნა ოწრებაჲ და ბრძოლანი მრავალნი ქუეყანასა **სპარსეთისასა**. **ბა** მუნ მიილო მისაგებელი მისი იმრთისაგან ქუეყანასა მას მტერთასა. **ბა** შემდგომად მისა აღდგა სხუაჲ მეფე, რომლისა სახელი მისი **წებინანოს**. **ბა** იყო მეფე კურთხეული და ბედნიერი მეფობასა შინა.

**ბა**ეგო **საბურ** მეფესა **სპარსეთისასა**, რამეთუ **წებინანე** მეფესა მორწმუნესა ექმნა საქმე კეთილი **საბურ** მეფისა თანა და აქუნდა მის თანა სიყუარული და კადნიერებაჲ და საყუედური, ვითარცა-იგი აქუს მეფეთა ჩუეულებაჲ კეთილის-მყოფელთათჳს მისაგებელი, ეგრეცთვე **საბურს** თანა-ედვა პატივი მისი. **ბა**შინ შეკრბეს ორნივე ერთად: **საბურ**, **სპარსთა** მეფე, და **წებინანე**, მორწმუნე მეფე **ბერძენთა**, და წარმოიღეს მათ თანა **წელიანე** უმჯულოჲ სამკუდროჲთა შემოსილი და მოიღეს ქალაქად **წასიბინისა**. **ბა**შინ შეანონნეს მოოწრებულნი იგი ქუეყანანი: რომელ-იგი მოოწრა **სპარსთა** ქუეყანაჲ **ბერძენთა**, ეგრეცთვე

კუალად რომელი **ბერძენთა** მოეოწრა **სპარსთა** ქუეყანაჲ. **ბა**ლო რომელ-იგი **ბერძენთა** მოეოწრა **სპარსთა** ქუეყანაჲ, უფროჲს იყო. **ბა**შინ მეფემან კურთხეულმან **წებინანე** მისცა ქალაქი **წასიბინისა** **სპარსთა** ნაცვალად მოოწრებულისა მის წილ, ხოლო იგი საზღვრად დაიდგეს **ბერძენთა** და **სპარსეთისა** ვიდრე დღენდღელად დღედმდე. **ბა** უბრძანა მოქალაქეთა, რაჲთა გამოვიდენ მიერ ქალაქისაგან და მისცენ იგი **სპარსთა**, რამეთუ მას ზედა ყვეს ზავი. **ბა**შინ ნეტარმან **წფრემ** გამოთქუა საკითხავი უმჯულოჲსა **წელიანტსთჳს** და მწუხარებათა მათთჳს, რომელ-იგი შეემთხვა ჴრისტეანეთა და დღეთა მისთა მას ჟამსა.

8. შემდგომად მისა განვიდა წმიდაჲ **წფრემ** მეფობასა **წებინანე** მორწმუნისასა ქალაქით თჳსით და მივიდა ქალაქად, რომლისა სახელი მისი **წრაბია**, და მას შინა მოილო წმიდაჲ ნათლისღებაჲ. **ბა** იყო იგი ჰასაკითა ორმოცდაათრვამეტისა წლისა დღეთა. **ბა** ისწავლებოდა **ბავითსა** და იკითხავნ **წიგნთა** **წმიდათა** სულიერთა მის თანა, რომლისა მიერ ნათელი მოელო. **ბა** ამისა შემდგომად აღდგა შფოთი დიდი მას ქუეყანასა შინა **წკლესიათა** ზედა იმრთისათა. **ბა**ლო იგი წარივლტოდა მუნით და მოვიდა ქალაქად, რომელსა ჰრქვან **წმიდი**, და დაადგრა მას შინა და უნათობდა მათ, რომელნი-იგი დანთქმულ იყვენეს ბნელსა და აწრდილთა სიკუდილისათა მსხდომარენი საცთურებათა შინა ეშმაკისათა. **ბა** დაადგრა მას შინა მცირედსა ჟამსა. **ბა** ვითარცა გამოვდა ზამთარი, მერმე წარმოვიდა ქალაქად **წრპაისა**, რომელ არს **წოვამდინარეთა**. **ბა** ვითარცა იხილა იგი შორით, განიხარა და თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: «დავემკვდრო ქალაქსა ამას შინა ვიდრე მიაღსასრულადმდე».

**ბა** ვითარ მიეახლა ქალაქსა და მიიწია მდინარესა, რომელსა ჰრქვან **წტსამანისი** (ხოლო იგი გარე-მოიცავს ქალაქსა), და იხილნა მას ზედა დედანი, რომელნი რცხიდეს. **ბა** დაადგრა მდინარესა მას ზედა და ხედვიდა მათ. **ბა**ლო ერთმან დედათა მათგანმან, რომელნი რცხიდეს მუნ, იწყო ხედვად მისა და განცდად ჟამერთ. **ბა**ლო წმიდამან **წფრემ** შეჰრისხდა მას და ჰრქუა: «არა გრცხუენისა, ზ, დედაკაცო, და არცა დახედვიდეა ქუეყანად მიმართ?» და მიუგო დედაკაცმან მან და ჰრქუა მას: «შენდა ჯერ-არს, რაჲთა ხედვიდე ქუეყანასა, რამეთუ მისგანი ხარ. **ბა**ლო ჩემდა ჯერ-არს, რაჲთა

გხედვიდე შენ, რამეთუ მე შენგანი ვარ». შაშინ განკვრდა წმიდაა **იფრემ** სიბრძნისაგან მის დედაკაცისა და გონიერად მიგებისა მისისათვის, რომელი-იგი ჰრქუა მას სიტყუად. **ნა** წარმოვლნა იგინი და იტყოდა გულსა თვისსა: «უკუეთუ დედანი ამის ქალაქისანი ესრცით ბრძენ არიან, ვითარცა ესე დედაკაცი, მაშა რავდენ უფროს გარდამატებულ იყვნენ მამანი დედათა გონიერებითა და მეცნიერებითა?» მაშინ შევიდა ქალაქად და თქუა თავსა თვისსა: «ამიერითგან ვიქმოდი სასყიდლითა და ვჭამდე პურსა», რამეთუ არარად იცოდა ჳელთსაქმარი. **ნა** მივიდა იგი მებაზროესა თანა და დაემიზდა მას. **ნა** მას ჟამსა შინა უფროსნი კაცნი მოქალაქენი **ურაჰელნი** წარმართნი იყვნეს. **ჟოლო** წმიდაა ესე ამხილებნ მათ და შეეშჯულელებიედ მათ **ნავითისა** სიტყუათაგან და **ჩიგნთაგან** ჩმიდათა. **ნა** ესევითართა საქმითა დასტკებოდა მას და იხარებნ.

9. **ბლესა** შინა ერთსა შეემთხვა მონაზონსა ვისმე წმიდათაგანსა **ურაკპარაკსა** შინა. **სკითხვიდა** მას და ეტყოდა მონაზონი იგი: «ვინაა ხარ შენ, ჭაბუკო?» **ხოლო** მან უთხრა მას საქმც თვისი და ცხორება თვისი. **ჟოლო** მონაზონმან მან ჰრქუა მას: «ვითარ შენ ჴრისტიანე ხარ და იქმ წარმართთა თანა და გნებავს სასუფეველსა შინა ყოფაჲ?» **ხოლო** ნეტარმან **იფრემ** ჰრქუა მონაზონსა მას, რამეთუ: «არა მიყუარს იგი». **სრქუა** მას მონაზონმან მან, რამეთუ: «მე გაგაზრახო უმჯობცისი შენთვის, რაათა მიხვდე ერთისა ვისმე მონაზონისა მარტოდ ცხორებულისა თანა წმიდათაგანისა, რომელნი არიან აქა, და შეეყავ ერთსა მათგანსა, და მან გასწაოს ცხორებად სულისა შენისაჲ». **ნა** ვითარცა ესმა ნეტარსა მონაზონისა მისგან, წარვიდა მის თანა. **ნა** მივიდეს მთად კერძო, რომელ არს დასავალით ქალაქსა **ორაჰისასა**, რამეთუ მას შინა იყვნეს სიმრავლც მონაზონთაჲ. **ნა** დაემკვდრა მუნ ქუაბსა შინა მახლობელად მონაზონისა ერთისა მოლუანისა და სულიერისა. **ჟოლო** იგი მარადის გამოუცხადებდა მას სახილავთა საღმრთოთა.

**ნა** შემდგომად წელიწადისა ერთისა, რაჲ ჟამითგან დაემკვდრა წმიდაჲ ესე მთასა მას შინა, ილოცავნ მიმდემად გონებითა წმიდითა და იმარხავნ წმიდად და იკითხავნ მარადის ჩიგნთა ჩმიდათა სულიერთა დაუცადებელად. **ნა** ლამესა შინა ერთსა განვიდა გარე წმიდაჲ იგი ბერი სენაკით თვისით და იხილნა **ნგე-**

ლოზნი ზეცით გარდამოსრულნი და ერთისა მათგანისა ჳელთა ტომარი დიდი დაწერილი ორკერძოთვე. **ნა** ჰრქუა ერთმან მათგანმან მოყუასსა თვისსა: «**ჩის** მისცემ ქარტასა ამას: **სავლეს**, განშორებულსა **იგვპტისა** უდაბნოდასა, ანუ **სიმენს** მარტოდმყოფსა?» და მიუგო **ნგელოზმან** მან და ჰრქუა: «არა ბრძანებულ არს ეგე ჩემდა». **ჟოლო** სხუამან ჰრქუა მას: «მაშა ვინ არს აქა ღირსი მაგისი?» მიუგო და ჰრქუა მას: «არავინ არს დაბადებულთა შოვრის იმრთისათა დღეს კაცი ღირს ამისა, გარნა **იფრემ სსური**, რომელ არს მთასა **ორაჰისასა** მარტოდმყოფი».

**ნა** რაჟამს იხილა ბერმან და ესმა და განიცადა სახილავი იგი, ჰგონებდა, ვითარმედ უცნებაჲ რაჲმე არს მტერისაჲ და უბედ-ყო იგი საქმც. **ნა** კუალად იტყოდეს წმიდისა **იფრემისთვის**, ოდეს იყო იგი ყრმა მცირე, ვითარმედ: იხილა მან ჩუენებაჲ და სახილავი, ვითარცა იგი იტყოდა, ვითარმედ აღმოჳდა ენისა მისისაგან ვაზი და განდიდნა იგი, და აღივსო მისგან ყოველი სოფელი, და გამოიხუნა ტევანნი მრავალნი, და მოვიდოდეს მფრინველნი ცისანი და დასხდებოდეს მის ზედა და ჭამდეს ნაყოფისა მისისაგან, და არა დაილეოდა იგი, გარნა უფროსლა აღორძნდებოდა და განმრავლდებოდა და ემატებოდა ნაყოფი მისი. **ნა** დღესა რომელსამე განვიდა წმიდაჲ იგი ბერი, მეზობელი მისი, და მოვიდა ნეტარისა **იფრემისა**, ვინაჲცა-იგი შეეყნებულ იყო, და პოვა იგი, რამეთუ ჯდა და წერდა თარგმანებასა „**ნაბადებისასა**“. **ნა** განკვრდა წმიდაჲ იგი ბერი, თუ ვითარ ესემლეგანი სიბრძნც მოსცა მას იმერთმან და მადლი ჟამსა შინა მცირესა. **ნა** ვითარ აღასრულა „**ნაბადებაჲ**“ და იწყო „**შეორისა** შჯულისასა“, მაშინ გულისხმა-ყო წმიდამან ბერმან, ვითარმედ ჭემმარიტად სახილავი იგი, რომელ იხილვა მან, მისთვის იყო, და შეიყუარა იგი ფრიად. **ნა** მიილო საკითხავი მისგან და წარილო ქალაქად და მოავლნა მოძღუარნი და მღდელნი და მთავარნი ქალაქისანი. **ნა** ვითარცა იხილეს, შეიპყრნა იგი განკვრევამან სიბრძნისა მისისათვის. **შაშინ** წარიკითხეს და ჰგონებდეს, ვითარმედ ბერსა მას დაუწერიეს იგი. **ნა** შეიპყრეს იგი ჳელთა და ემთხუეოდეს. **ნა** ვითარცა იხილა სარწმუნოებაჲ მათი, იწყო ჳმობად და ლაღადებად ჳმითა მალლითა და იტყოდა: «არა მე დამინერიეს, გარნა **იფრემს**, მარტოდმყოფსა მონაზონსა, რომელ-იგი არს

ქალაქისაგან **ჩასიბინისაჲთ**. **ჟოლო ბერმან** აუნყა მათ სახილაგი იგი, რომელი მან იხილა.

10. **ჟოლო** მათ **ჰრწმენა** სიტყუად მისი, რამეთუ **ჴრისტიმან** თქუა ნმიდასა სახარებასა შინა, ვითარმედ: «ქალაქი რომელი იყოს მთასა ზედა, ვერვის ველ-ენიფების დაფარვად მისი» (მთ.5,14). **თა** არწმუნა იმერთმან ყოველთა გულთა მორწმუნეთასა, რომელნი იყვნეს ქალაქსა შინა **ორაჰისასა**, სიყუარული მისი. **თა** ყოველნი აღვიდეს მისა, ვინაჲცა-იგი დამკუდრებულ იყო მთასა. **თა** ვითარ აგრძნა მოსლვაჲ მათი, ნარივლტოდა ადგილისაგან თვისისა. **თა** ვითარ ჩავიდოდა იგი ჴევად, გამოუჩნდა **წგელოზი** იმრთისაჲ და **ჰრქუა** მას: «**წგრემ, წგრემ**, ვიდრე მიივლტი?» და **ჰრქუა** მას ნეტარმან: «ვივლტი სოფლისა შფოთისაგან». **წრქუა** მას **წგელოზმან** მან: «ეკრძალე, რაჲთა არა აღესრულოს შენ ზედა სიტყუად იგი ჩერილისაჲ, რომელი თქუმულ არს, ვითარმედ: „**წგრემ** ივლტოდა ჩემგან, ვითარცა ჴბოჲ, რომელმან განაგდის უღელი ქედისა მისისაგან“. **ჟოლო** მან მიუგო ტირილით და **ჰრქუა**: «უფალო, რამეთუ მე უძლური ვარი და არა ღირს ვარი ამას». **შაშინ** მიუგო **წგელოზმან** და **ჰრქუა**: «**შ**, კაცო, არა ჯერ-არს კაცისა აღნთებად სანთელი და დაფარვად ჴვმირსა ქუეშე, არამედ დადებად იგი სასანთლესა ზედა, რაჲთა ხედვიდეს ყოველი კაცი ნათელსა მისსა»(მთ.5,15). **თა** ამას თანა სხუანიცა მრავალნი სიტყუანი არქუნა მას და მერმე მიეფარა მისგან **წგელოზი** იგი.

11. **ჟოლო** ნეტარი **წგრემ** უკუმოიქცა **ორაჰად**. **თა** რომელნი-იგი გამოსრულ იყვნეს მისთვის, ვითარ არა პოვეს იგი, კუალად-იქცნეს ქალაქადვე. **ჟოლო** ნმიდაჲ ესე რაჟამს მიიწია კარსა ქალაქისასა, მოიდრიკნა მუჴლნი და ილოცა და ტირილით ესრჴთ იტყოდა: «იმერთო ჩემო და **ოფალო** ჩემო **წესუ** **ჴრისტი**, რამეთუ შენ მიეც ჴელმწიფებაჲ მწიდათა მოციქულთა ძლევად ეშმაკისა და ყოველთა გუნდთა მისთა, შენგან ვითხოვ, **ოფალო** ჩემო, რაჲთა მომცე ძალი შენმიერი და განსდევნე წინაშე ჩემსა მთავრობანი, რომელნი წინა-აღმდგომ არიან დიდებასა იმრთეებისა შენისასა».

**თა** ვითარცა აღასრულა ლოცვაჲ თვისი, შევიდა ქალაქად, აღვიდა ერთსა რომელსამე ზღუდესა და მიწვა და იძინა. **თა** ვითარ განიღვძა ძილისაგან, გარდამოვიდა გოდლისა მისგან. **თა** ვითარ ვიდოდალა იგი რომელთამე

**ურაკპარაკთა** შოვრის ქალაქისათა, იხილეს იგი მათ კაცთა, რომელნი განსრულ იყვნეს ძიებად მისა. **თა** მათ იცნეს იგი და ეკიცხევდეს იგინი მას და იტყოდეს ურთიერთას: «მოვედით და იხილეთ მაჩუენებელი იგი, რომლისათვის განვედით, და ნარივლტოდა ჩუენგან». **თა** ჴგონებდეს იგინი მისთვის, ვითარმედ სიყუარულისათვის ცუდად-დიდებისა ჴყოფდა მას. **ჟოლო** მათ შეიპყრეს იგი და მიიყვანეს იგი ქალაქსა შოვა, რაჲთა ხედვიდენ მას ყოველნივე. **ჟოლო** ამას ყოველსა თანა არა ამალღდა, გარნა სიმდაბლითა მრავლითა თაყუანისცა მათ და იტყოდა: «ვაჲ მე გლახაკსა, ძმანო, რამეთუ მე კაცი ვარ ფრიად ცოდვილი». **ჟოლო** იგინი მაშინ ჴმოზდეს და იტყოდეს: «მოვედით და იხილეთ უგუნური ესე და სულელი». **შაშინ** ნეტარი ესე ვიდოდა **ურაკპარაკთა** შინა ქალაქისათა, და სწყალობნ მათ და ამხილენ.

12. **თა** დღესა რომელსამე შინა გარდამოვიდა ერთი ვინმე მარტოდმყოფთაგანი, რომელნი-იგი ხედვიდეს სულსა ჩმიდასა, ქალაქად, რაჲთა იყიდოს საწმარი ჴორცთაჲ. **თა** ვითარცა იხილა მან ნეტარი **წგრემ**, მიმომავალი **ურაკპარაკთა** შინა ქალაქისათა, და მისდევდა იგი მას უკუანა, ჴმოზდა და იტყოდა: «ესე არს ნიჩაფი იგი, რომელ არს ჴელთა შინა **ოფლისათა**»(მთ.3,12), და განწმიდოს ყოველივე აღმოცწნებული და ყოველივე ლუარძლი მწვალებელთაჲ; ესე არს ცეცხლი იგი, რომლისათვის თქუა **ოფალმან**, ვითარმედ: «მოვედ მიეწნად ცეცხლისა სოფელსა შინა»(ლკ.12,49). **თა** ვითარცა ესმნეს მოქალაქეთა სიტყუანი ესე ნმიდისა მისგან, განრისხნეს და აღივსნეს გულისწყრომითა და რისხვითა მწვალებელნი და ნარმართნი და **ჴურიანი**. **შაშინ** შეიპყრეს ნეტარი **წგრემ** და განიყვანეს გარე ქალაქისაგან და დაჴკრიბეს ქვაჲ, ვიდრემდის სული ოდენ დარჩა მას შინა, და დაუტევეს.

13. **თა** ვითარ განთენდა, აღდგა და ნარივლტოდა მთად და შეაყენა თავი თვისი მუნვე, სადა იყო პირველ. **თა** მათ ჟამთა შინა დაწერნა წიგნები მრავალი წინა-აღმდგომად მწვალებელთათვის, რომელნი-იგი იყვნეს მათ ჟამთა შინა. **თა** მრავალნი მონაფენი შეუდგეს: პირველი მონაფე **წონობიოს**, რომელი-იგი დიაკონად იყო **ორაჰისა** **წელესისა** საკურთხეველსა, და მეორე, რომელსა ერქუა ამბა **საკ**, და კუალად სხუასა – ამბა **სსონა** და ამბა **წელიანე** და **სუმეონ**. **წმათ** მოეცა მადლი მოძღურებისაგან ნმიდისა **წგრემისა**. **თა** თითუეულმან მათგან-

მან დადგა მოძღვრებად თვის მსგავსად ძალისა თვისისა კაცად-კაცადმან. **თა სხუანიცა მონაფენი მრავალნი ესხნეს მას.**

14. **თა მათ ჟამთა შინა ისმოდა მადლი იგი, რომელი მონიჭებულ იყო წმიდისა **ქასილი კაბადუკიელ** ეპისკოპოსისა. **თი**ლითა წადიერებითა უნდა ხილვად მისი ნეტარსა **წერემს** და ევედრებოდა იმერთსა, რაათა გამოუცხადოს მას იგი. **თა** დღესა შინა ერთსა, იყო რა იგი მდგომარე ლოცვასა შინა, მეყსეულად მოუჭდა გულსა სწავლად **ბერძულითა** ენითა და რაათა მეცნიერ იქმნეს სიღრმესა **იონთა** სიბრძნესა; და დაადგრა ესე გულისსიგყუად მის თანა რავდენსამე ჟამსა და არა განეშორებოდა დღე და არცა ღამე და დღითი-დღედ აღორძინებოდა და განდიდნებოდა გულისთქუმაჲ ესე მჭურვალეებითა დიდითა. **თა** მრავლისა ვედრებისა და ლოცვისა შემდგომად და მიმდემისა მარხვისა და ცრემლითა დაუნყუედელითა და ძაძითა ქუეყანასა ზედა წოლისა ერუენა მას ჩუენებაჲ საღმრთოჲ. **თა** ესმა ჩუენებისა მის გამო წმითა საშინელითა, რომელიცა-იგი ეტყოდა მას: **«წერემ, წერემ, უკუეთუ გნებავს, რაათა ისწაო სიღრმე იონთა** სიბრძნისაჲ, მივედ შენ დიდებისა ჩემისა». **ჰოლო** წმიდამან **წერემ** ვერ ცნა ძალი სიტყვსაჲ მის, გარნა ჰგონებდა, ვითარმედ განსლვისათვს ამის სოფლისა ეტყოდა მას მისლვად სასუფეველსა, რომელ არს სიღრმე დაუსრულებელი სიბრძნისაჲ. **თა** მოელოდა იგი განმზადებულად.**

**თა** კუალად ერუენა მას ჩუენებაჲ იგი პირველი, და ესმა წმად, რომელი ეტყოდა სახილავისა მის გამო ესრცთ: **«უკუეთუ გნებავს სწავლად სიღრმესა იონთა** სიბრძნისაჲ, მივედ დიდებასა ჩემსა, რამეთუ არს იგი **თიდი ქასილი**, რომელი მე გამოვირჩიე მწყემსად სამწყსოჲსა ჩემისათვს **ხესარია კაბადუკიისა** ქალაქისა, და მუნ ისწაო შენ სარგებელი შენი. **თა** სხუანიცა მრავალნი აცხოვნენ, და ბრწყინვიდენ **ქელესიასა** შინა წმიდასა, და მტერნი მისნი სირცხულეულ იქმნენ და განიდევნენ». **თა** შინა წმიდასა **წერემს** მარადის ესმოდა მომავალთაგან მისა ამბავი სათნოებათათვს წმიდისა **ქასილისთა**. **ჰოლო** იგი სურვიელ იყო ფრიად დიდად, რაათამცა იხილა იგი და იკურთხა მისგან. **თა** ევედრებოდა მარადის იმერთსა, რაათა გამოუცხადოს მას **ქასილი** ბრძენი. **თა** დღესა ერთსა შინა აღიტაცა გონებაჲ მისი, იხილა **ქასილი** მსგავსად სუეტისა ცეცხლისა მდგომარე საკურთხევ-

ელსა ზედა, და თავი მისი აღინეოდა ზეცად. **თა** ესმა ზედათ მისა წმად, რომელი იტყოდა: **«წერემ, წერემ, ვითარცა სუეტი ესე ცეცხლისაჲ, ეგრცთ არს ქასილი».**

5 **თა** შინ აღდგა მეყსეულად და წარიყვანა მის თანა მონაზონი ერთი, რომელმან იცოდა **იონთა** ენითა, რამეთუ არა იცოდა მან **ბერძულად**, და წარვიდა, ვიდრემდის მიინია ზღვს კიდესა. **თა** განგებთა იმრთისაათა პოვა მუნ ნავი **ქგუბტელ** მიმავალი. **თა** შინ აღვიდეს ნავსა მას, და დაჯდა მათ თანა. **თა** სლვასა მას მათსა ზღუასა შინა აღიძრა მათ ზედა ზღუად იგი, და იყო ქარი ფიცხელი სასტიკი. **თა** თუმცა არა შეწევნად იმრთისაჲ და ლოცვად წმიდისა **წერემისი**, ნავი და-მცა-ნთქუმულ იყო, რამეთუ ყოველი სამძიმარი და ჭურჭელი შთაყარეს ზღუასა, და ფიცხლად ლელვიდა ზღუად იგი, და განენირნეს თავნი მათნი სიმძაფრისაგან დიდისა საშინელისა საკურველებისაგან ლელვათაჲსა ნავსა მას, და ვითარცა-იგი თქუმულ არს **ქსალმონთა** შინა, ვითარმედ: **«აღვლენან ცამდე და შთავლენან უფსკრულადმდე»**(ფს.106,26). **ჰოლო** მენავენი შეშინდეს ფრიად და ივლტოდეს ნავისაგან. **თა** შინ წმიდამან **წერემ** ჰრქუა მათ: **«ძმანო, ნუ გეშინინ. იმერთმან, ქომელმან განარინა წმიდაჲ **სავლე** და მისთანანი იგი სიღრმისაგან ზღვსა, ჴივე შემძლებელ არს წსნად ჩუენდა».** **ჰოლო** იგინი ეკიცხვედეს მას, რამეთუ ჰგონებდეს იგინი მისთვს, ვითარმედ გონებაცთომილ არს იგი და უგუნურ. **ჰოლო** იგი აღდგა და თაყუანისცა იმერთსა და ტიროდა და ჴელნი თვისნი განიპყრნა და **ჯუარი** დასწერა ზღუასა და თქუა: **«სახელითა ოფლისა ჩუენისა ქესუ ჴრისტცისითა, ქომელმან-იგი დააცხრო ზღუად ჟამთა მათ ჴორცთშესხმისა შისისათა მონაფეთაგან **ქვსთა**, სახელითა წმიდითა შისითა გიბრძანებ, რაათა დასცხრე და დაყუდდენ ლელვანი შენნი».** **თა** ვითარცა თქუა წმიდამან ესრე, დაყუდდა ზღუად და ლელვანი მისნი. **თა** ყოველნი, რავდენნიცა იყვნეს მის თანა ნავსა შინა, დაცვეს ქუეშე ფერჯთა მისთა და შეურდეს და იწყეს ვედრებად მისა, ვითარცა უნდა ოფალსა. **თა** სლვასა მათსა შინა ზღუასა გამოუჭდა მათ მწეცი ერთი ბოროტი ზღვსაგან. **ჰოლო** იგინი შეშინდეს ფრიად ყოველნი და იტყოდეს, ვითარმედ: **«დალაცათუ განვერენით საშინელეებისაგან ზღვსა, ხოლო მწეცისა ამისგან ბოროტისა ვერ განვერებით ცოცხლებით».** **თა** შინ წმიდამან **წერემ** დასწერა სახც

პატიოსნისა ჯუარისა და აღდგა და წყევა იგი. თა ვითარცა ესმა მწეცსა მას წყევად იგი, მუნთქუესვე მოკუდა და აღმოაგდო წყალმან მან. თა ვითარცა განვიდა წმიდად ესე ვმელად, განეშორა მათგან. შაშინ შეწუხდეს იგინი ფრიად განშორებისა მისისათს.

15. ღოლო იგი შევიდა ერთსა ქალაქსა რომელსამე **ჯგუბტისასა** და ჰკითხა ერთსა ვისმე, რომელიცა-იგი შეემთხვა მას პირველად, და ჰრქუა მას: «რომელი არს გზად **სკიტისა** უდაბნოვსად?» ხოლო მან აჩუენა მას გზად. თა განვიდა იგი უდაბნოდ ძიებად მამათა წმიდათა განშორებულთა, რომელნი იყვნეს მუნ, და პოვა მუნ სენაკი და ქუაბი ერთი უკაცრული. ჰვეიდე მას შინა იგი და თარგმანი მისი და დაადგრეს მას შინა მრავალ დღე. თა რად ჟამითგან მონაზონ იქმნა ნეტარი **ჯფრემ** და აღსასრულადმდე დღეთა ცხოვრებისა მისისათა არას ჭამდა თვნიერ პურსა ქრთილისასა და ცერცუსა და მხალსა მცირედსა და სუმიდა წყალსა. ღოლო ტყავი მისი შემწმარ იყო ძუალთა მისთა ძლიერისა მარხვისაგან და დიდისა შრომისა. თა სამოსელი მისი იყო ძუელი, დაბებკული და შეურაცხი. თა იყო იგი ჰასაკითა მოკლე, და პირი მისი სავსე მწუხარებითა, და არაოდეს განიცინა. თა იყო იგი მტიერ, და წუერი მისი მოკლე და თხელ. თა დაყო **ჯგუბტეს** რვად ნელი და ამხილებნ იგი ყოველთა კაცთა და ასწავებნ იმრთისმოშიშებასა ჭემმარიტისა იმრთისა, ამისთს რამეთუ ყოველი კაცი ცთომასა შინა იყვნეს მოძღურებისაგან **სრიოზის** უღმრთოვსა მწვალებელისაჲსა. ღოლო სხუათა ქუეყანათა იყვნეს მონაზონნი მრავალნი **სრიოზის** შჯულისანი. თა წმიდამან **ჯფრემ** მოაქცივნა იგინი მართალსა სარწმუნოებასა, რამეთუ განისწავლა ნეტარი **ჯფრემ** **ვეგუბტელთა** ენითა და მადლითა იმრთისათა, რომელი მონიჭებულ იყო მისა, ზრახავნ მათ და უთარგმანებდა მათ.

16. თა იყო მუნ მონაზონი ერთი დანყეული **სრიოზის** შჯულისაჲ. თა იყო იგი მოხუცებული ბილნი, გრძნეული და ეჩუენებოდა კაცთა მოლუანედ და პატიოსნად და შეწეენითა ეშმაკისაჲთა იქმოდა სასწაულთა, ვითარცა-იგი **სუმონ გრძნეული**, და განასხმიდა კაცთაგან ეშმაკთა გრძნებითა მისითა. თა განითქუა სახელი მისი ყოველსა ქუეყანასა **ჯგუბტისასა**. თა დღესა შინა ერთსა იხილა ნეტარი **ჯფრემ**, ამხილებდა რად იგი მონაზონთა **სრიოზის** შჯულისათა და განრისხნა იგი ფიცხლად და მოუწდა და

აგინა **ჯფრემს**. თა ყოველთა დღეთა აგინებნ წყეული იგი გრძნეული წმიდასა **ჯფრემს** და შეემტერა მას. შაშინ მიჰხედნა წმიდამან და ჰრქუა მას: «არა გაქუს შენ ჯელმნიფებად ზრახვად დაბადებულთა იმრთისათა».

თა მეყსეულად გამოცხადდა ეშმაკი, რომელი იყო მას შინა, და დაეცა ქუეყანასა ზედა, ყრიდა ჯელთა და ფერჯთა და სცემდა თავსა ქუეყანასა. თა შეაკრბეს მონაზონნი, რომელნი იყვნეს მუნ მას უდაბნოსა შინა, რადთა იხილონ იგი, და ვითარსა ბოროტსა შევარდა იგი სიბერისა ჟამთა, რამეთუ სახელი მისი განთქუმულ იყო ყოველსა ქუეყანასა **ჯგუბტისასა**, და ვერვინ იკადრებდა მიახლებად მისა. თა ვითარცა იხილა წმიდამან **ჯფრემ** ესევეთარსა ლუანლსა შინა, შეინყალა იგი და მიეახლა და აღუპყრა ჯელი, და გუამი მისი ძწოდა და აღშფოთებულ იყო ყოველით კერძო. შაშინ წმიდად შეჰრისხნა ეშმაკსა მას, რომელი იყო მას შინა, და ჰრქუა მას: «სახელითა შესუს ჴრისტცსითა, ჴომელი-იგი ჴუარს-ეცუა **სიონს** შინა ცხოვრებისათს, რომელთა-იგი ჰრწამს სახელი შისი ცხოველი, გიბრძანებ, რადთა განჰჯდე ხატისა იმრთისაგან». თა მეყსეულად განვიდა ეშმაკი მისგან. თა აღდგა ბერი იგი და ძრწოდალა იგი და შეუვრდა ფერჯთა წმიდისათა და თაყუანის-სცა მას ქუეყანასა ზედა და ესრწთ ეტყოდა: «თაყუანის-გცემ შენ, შ, მონაო იმრთისაო კეთილო, რამეთუ მიწსენ მე ძალითა იმრთისაჲთა ტანჯვისაგან ეშმაკისა და შემამკვე მე უღლითა ჴუარისაჲთა». თა მიერ ჟამითგან სახც განიგო და ჰრწმენა მართალი სარწმუნოებაჲ.

17. შაშინ დასხნა წმიდამან **ჯფრემ** საკითხავები მრავალი **ჯგუბტეს** შინა. თა იწყეს პატივისცემად ფრიად ქუეყანისა კაცთა. თა ვერ თავს-იდვა დგომად მუნ და წარვიდა რომელსამე ზღვს კიდისა არესა, ვინაჲცა-იგი შევიდიან ნავნი **ჲაბადუკიისანი** **ჯგუბტედ**, და პოვა მუნ ნავი მიმავალი **ჲაბადუკიად** და შეჯდა მას შინა და მოვიდა **ჲესარიად**, რადთა იხილოს წმიდად **ჲასილი**. თა დაემთხვა მას დღესასწაული ჩყლისა ჲურთხევისაჲ და იმრთისა ჴამორინებაჲ. თა შევიდეს ფარულად ეკლესიად იგი და თარგმანი მისი. თა ვითარცა იხილა წმიდად **ჲასილი**, შემავალი ეკლესიად, ჰრქუა თარგმანსა თსსა: «ესრწთ ვჰგონებ, ძმაო, ვითარმედ ცუდად დავშუერით, რამეთუ კაცი ესე დიდებითა ამით არა არს მას ზედა, ვითარ-იგი ვიხილე». ჴამეთუ იხილა იგი მოსილი სამოსლითა სპეტაკითა და

გარემოს მისა პატივი დიდი და სიმრავლეს ფრიადი. **ბა** ვითარ იგი დადგა ეკლესიასა შინა მწუნარს, განიზრახვიდა და თქუა გულსა თვისსა: «უკუეთუ რომელთა-ესე თავს-გვდებებს სიცხეს დღისა და ყინელი ღამისა და ვერა მოგპოვებებს, და ესე ამით დიდებითა და პატივითა სუეტი არს ცეცხლისა, რავდენ უფროს საკრველ არს ესე».

